საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გადაწყვეტილება №07

ქ. ბათუმი 05 მაისი,2016წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ ქალაქგარეთ (30 კმ-ზე მეტ მანძილზე) სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ერთჯერადად წამახალისებელი ფულადი ჯილდოს დაწესების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქალაქგარეთ (30 კმ-ზე მეტ მანძილზე) გამართულ სტუდენტურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების წახალისების მიზნით, ბსუ-ს სტუდენტისათვის დაწესდეს ერთჯერადი წამახალისებელი ფულადი ჯილდო - ერთი დღისათვის 20 ლარის ოდენობით.
2. ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა განისაზღვროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, მოსამზადებელი და ძირითადი ეტაპების გათვალისწინებით.
3. გადაწყვეტილება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვედზე და უნივერსიტეტის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი დ. ბარათაშვილი